ქალაქ თბილისის მთავრობა

დადგენილება № 30.52.1552

"10" დეკემბერი 2013 წ.

ამხანაგობა „მარგიანი 2007"-ის სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისთვის განაშენიანების ინტენსივობის კ–2 კოეფიციენტის მოსაკრებლის გადახდის გადავადებისა და მასთან დაკავშირებით შეთანხმების დადების შესახებ

2013 წლის 28 ნოემბერს ქ. თბილისის მერიას, №07/96951–13 განცხადებით, მომართა ამხანაგობა „მარგიანი 2007"–ის თავმჯდომარემ მურმან ბებიაშვილმა და „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, მოითხოვა ქ. თბილისში, მარგიანის ქ. №2–4–ში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ2) გადამეტების მიზნით სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისთვის გადასახდელი მოსაკრებლის გადახდის გადავადება შენობა–ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღებამდე და მასთან დაკავშირებით, შესაბამისი შეთანხმების დადება. თავის მხრივ, ამხანაგობა „მარგიანი 2007" იღებს ვალდებულებას, რომ შენობა–ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების თაობაზე, არაუგვიანეს 2014 წლის 1 აგვისტომდე განცხადებას წარუდგენს შესაბამის უფლებამოსილ ორგანოს და რომ შენობა–ნაგებობა დააკმაყოფილებს ექსპლუატაციაში მიღებისთვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ქალაქ თბილისის მთავრობამ განიხილა ქალაქ თბილისის მერის 10.09.2010 წლის №3841 განკარგულებით გაცემული სპეციალური (ზონალური) შეთანხმებისთვის გადასახდელი განაშენიანების ინტენსივობის კ–2 კოეფიციენტის მოსაკრებლის გადახდის გადავადებისა და მასთან დაკავშირებით შეთანხმების დადების საკითხი და „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ" საქართველოს კანონის 17^2 მუხლის, ასევე „ქ. თბილისის ტერიტორიაზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის გადახდასთან დაკავშირებით შეთანხმების გაფორმების წესის შესახებ" ქალაქ თბილისის მთავრობის 19.09.2013 წ. №24.02.1078 დადგენილების, „ქ. თბილისის ტერიტორიაზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის გადახდასთან დაკავშირებით შეთანხმების გაფორმების წესის შესახებ" ქალაქ თბილისის მთავრობის 19.09.2013 წ. №24.02.1078 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქალაქ თბილისის მთავრობის 14.11.2013 წ. №28.08.1364 დადგენილების შესაბამისად, ქ. თბილისში, მარგიანის ქ. №2–4–ში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის დროულად დასრულების, ქალაქის განვითარებისა და იერსახის გაუმჯობესების მიზნით, მიზანშეწონილად მიაჩნია ამხანაგობა „მარგიანი 2007"–ს შენობა–ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღებამდე გადაუვადოს მოსაკრებლის გადახდა და დადოს შეთანხმება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ" საქართველოს კანონის, „ქ. თბილისის ტერიტორიაზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის გადახდასთან დაკავშირებით შეთანხმების გაფორმების წესის შესახებ" ქალაქ თბილისის მთავრობის 19.09.2013 წ. №24.02.1078 დადგენილების, „ქ. თბილისის ტერიტორიაზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის გადახდასთან დაკავშირებით შეთანხმების გაფორმების წესის შესახებ" ქალაქ თბილისის მთავრობის 19.09.2013 წ. №24.02.1078 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

მთავრობის 14.11.2013 წ. №28.08.1364 დადგენილების და „სპეციალური ზონალური შეთანხმების გაცემის შესახებ" ქალაქ თბილისის მთავრობის 2012 წლის 30 ივლისის №19.13.721 დადგენილების შესაბამისად,

ქ. თბილისის მთავრობა ადგენს:

1. დაკმაყოფილდეს ამხანაგობა „მარგიანი 2007"-ის განცხადება ქალაქ თბილისის მერის 10.09.2010 წლის №3841 განკარგულებით გაცემული სპეციალური (ზონალური) შეთანხმებისთვის გადასახდელი განაშენიანების ინტენსივობის კ-2 კოეფიციენტის მოსაკრებლის გადახდის გადავადების თაობაზე.

2. დადებულ იქნეს ამხანაგობა „მარგიანი 2007"-თან შეთანხმება შემდეგი პირობებით:

ა) ქალაქ თბილისის მთავრობა უზრუნველყოფს ამხანაგობა „მარგიანი 2007"-ის ქალაქ თბილისის მერის 10.09.2010 წლის №3841 განკარგულებით გაცემული სპეციალური (ზონალური) შეთანხმებისთვის გადასახდელი განაშენიანების ინტენსივობის კ-2 კოეფიციენტის მოსაკრებლის გადახდის გადავადებას შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღებამდე, ხოლო შეთანხმების განხორციელების მიზნით, ამხანაგობამ უნდა უზრუნველყოს, არაუგვიანეს 2014 წლის 1 აგვისტომდე, უფლებამოსილ ორგანოში განცხადების წარდგენა შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღებაზე და ექსპლუატაციაში მიღებისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნების დაკმაყოფილება;

ბ) პირობების დარღვევის შემთხვევაში შეთანხმება, გაუქმდება და ამხანაგობას დაეკისრება ვალდებულება შეთანხმების გაუქმებიდან 1 თვის ვადაში გადაიხადოს ქალაქ თბილისის მერის 10.09.2010 წლის №3841 განკარგულებით გაცემული სპეციალური (ზონალური) შეთანხმების და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად გადასახდელი განაშენიანების ინტენსივობის კ-2 კოეფიციენტის მოსაკრებელი.

3. შეთანხმებაზე ქალაქ თბილისის მთავრობის სახელით, ხელმოწერა დაეცვალოს ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის უფროსის დროებით მოვალეობის შემსრულებელს გიორგი გოგოლაშვილს.

4. კონტროლი დადგენილების შესრულებაზე დაევალოს ქ. თბილისის მერის მოადგილეს დავით ნინიძეს.

5. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

ქ. თბილისის მერის მოადგილე ირაკლი აბესაძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

შეთანხმება

ქალაქ თბილისის მთავრობასა

და

ამხანაგობა "მარგიანი 2007"-ს

შორის

თბილისი

2013 წელი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

წარმოდგენილი სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის გადახდის გადავადების თაობაზე შეთანხმება (შემდგომში „შეთანხმება“) დადებულია 2013 წლის 17 დეკემბერი („ძალაში შესვლის თარიღი“)

ერთის მხრივ, ქალაქ თბილისის მთავრობა (შემდგომში “მთავრობა“), წარმოდგენილი ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის უფროსის დროებით მოვალეობის შემსრულებლის გიორგი გოგოლაშვილის სახით,

მეორეს მხრივ, ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა „მარგიანი 2007“, (შემდგომში „ამხანაგობა“), წარმოდგენილი ამხანაგობის თავმჯდომარე მურმან ბებიაშვილის სახით,

მოქმედი კანონმდებლობისა და 2013 წლის 10 დეკემბრის ქ. თბილისის მთავრობის #30.52.1552 დადგენილების შესაბამისად დებენ წინამდებარე შეთანხმებას შემდეგზე:

1. შეთანხმების მიზანი

შეთანხმების მიზანს წარმოადგენს ქ. თბილისში, მარგიანის ქ. #2–4–ში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის დასრულების, ქალაქის განვითარებისა და იერსახის გაუმჯობესების პროცესების ხელშეწყობა.

2. შეთანხმების საგანი და მოქმედების სფერო

შეთანხმების საგანია ქ. თბილისში, მარგიანის ქ. #2–4–ში მშენებარე მრავალბინიან საცხოვრებელ სახლზე ქ. თბილისის მერის 10.09.2010წ. №3841 განკარგულებით გაცემული სპეციალური (ზონალური) შეთანხმებისთვის გადასახდელი განაშენიანების ინტენსივობის კ–2 კოეფიციენტის მოსაკრებლის გადახდის ნოემბრამდე გადავადება წინამდებარე შეთანხმებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

3. მხარეები თანხმდებიან შემდეგზე:

3.1. შეთანხმების განხორციელების მიზნით, წინამდებარე შეთანხმებით და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მთავრობა უზრუნველყოფს: ამხანაგობა „მარგიანი 2007“–ის მიერ ქალაქ თბილისის მერის 10.09.2010წ. №3841 განკარგულებით გაცემული სპეციალური (ზონალური) შეთანხმებისთვის გადასახდელი განაშენიანების ინტენსივობის კ–2 კოეფიციენტის მოსაკრებლის გადახდის გადავადებას 2014 წლის 1 აგვისტომდე.

3.2. შეთანხმების განხორციელების მიზნით, წინამდებარე შეთანხმებით და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ამხანაგობა უზრუნველყოფს:
უფლებამოსილი ორგანოს მიერ შეთანხმებული შენობა–ნაგებობის არქიტექტურული პროექტის შესაბამისად მშენებლობის დასრულებას, 2014 წლის 01 აგვისტომდე უფლებამოსილ ორგანოში განცხადების წარდგენას შენობა–ნაგებობის

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ექსპლუატაციაში მიღებაზე და ექსპლუატაციაში მიღებისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაკმაყოფილებას.

4. შეთანხმების გაუქმება

შეთანხმების პირობების დარღვევის შემთხვევაში წინამდებარე შეთანხმება გაუქმდება და ამხანაგობას ეკისრება ვალდებულება შეთანხმების გაუქმებიდან 1 თვის ვადაში გადაიხადოს მოსაკრებელი.

5. ცვლილებების და დამატებების შეტანა

შეთანხმებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შესაძლებელია მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

შეთანხმება შედგენილია 2 თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად ქართულ ენაზე.

ხელმოწერილია:

ქ. თბილისის მთავრობის სახელით სახელით

ს.ს.ი.პ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის
უფროსის დროებით მოვალეობის შემსრულებელი

გიორგი გოგოლაშვილი

ხელმოწერილია:

ამხანაგობა „მარგიანი 2007“-ის სახელით

მურმან ბებიაშვილი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

[illegible]

[illegible]

[illegible]

ქალაქ თბილისის მთავრობა

დადგენილება № 22.60.996

„15" აგვისტო 2013 წ.

ქ. თბილისში, მარგიანის ქ. #2-4-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისთვის განაშენიანების ინტენსივობის კ-2 კოეფიციენტის მოსაკრებლის გადახდის გადავადებასთან დაკავშირებით შეთანხმების დადების შესახებ

ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურს 2013 წლის 19 აპრილის №12/44658-1 (12/44658-1) განცხადებით მიმართა შპს „მარგიანი 2007"-ის [illegible] და "ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, მოითხოვა ქ. თბილისში, მარგიანის ქ. №2-4-ში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისთვის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ2) გაზრდის მიზნით, სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის გადასახდელი მოსაკრებლის გადახდის გადავადება. თავის მხრივ, შპს „მარგიანი 2007" იღებს ვალდებულებას აღნიშნული შეთანხმების დადების საფუძველზე, უზრუნველყოს ობიექტის მშენებლობის დასრულება და ექსპლუატაციაში მიღება. „ადგილობრივი მოსაკრებლის შესახებ" საქართველოს კანონის 17² მუხლის შესაბამისად.

ქალაქ თბილისის მთავრობამ განიხილა ქალაქ თბილისის მერიის 2010 წლის 10 სექტემბრის №3841 განკარგულებით გაცემული სპეციალური (ზონალური) შეთანხმებისთვის გადასახდელი განაშენიანების ინტენსივობის კ-2 კოეფიციენტის მოსაკრებლის გადახდის გადავადების და მასთან დაკავშირებით შეთანხმების დადების საკითხი და „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ" საქართველოს კანონის 17² მუხლის შესაბამისად, ქ. თბილისში, მარგიანის ქ. №2-4-ში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებარე შენობის მშენებლობის დროულად დასრულების, ქალაქის განვითარების და იერსახის გაუმჯობესების მიზნით, მიზანშეწონილად მიიჩნია შპს „მარგიანი 2007"-თან მოსაკრებლის გადახდის გადავადებასთან დაკავშირებით დადოს შეთანხმება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ" საქართველოს კანონის, „საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ" საქართველოს კანონის 23-ე მუხლის „ფ" ქვეპუნქტისა და „სპეციალური ზონალური შეთანხმების გაცემის შესახებ" ქალაქ თბილისის მთავრობის 2012 წლის 30 ივლისის №19.13.721 დადგენილების შესაბამისად,

ქ. თბილისის მთავრობა ადგენს:

1. ქალაქ თბილისის მერიის 2010 წლის 10 სექტემბრის №3841 განკარგულებით გაცემული სპეციალური (ზონალური) შეთანხმებისთვის გადასახდელი განაშენიანების ინტენსივობის კ-2 კოეფიციენტის მოსაკრებლის გადახდის ვადა გადავადდეს 2013 წლის პირველ ნოემბრამდე.

2. დადებულ იქნეს შპს "მარგიანი 2007"-თან შეთანხმება შემდეგი პირობებით:

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ა) ქალაქ თბილისის მთავრობა უზრუნველყოფს შპს "მარგიანი 2007"-ის მიერ ქალაქ თბილისის მერის 2010 წლის 10 სექტემბრის №3841 განკარგულებით გაცემული სპეციალური (ზონალური) შეთანხმებისთვის გადასახდელი განაშენიანების ინტენსივობის კ-2 კოეფიციენტის მოსაკრებლის გადავადებას 2013 წლის 1 ნოემბრამდე, ხოლო შეთანხმების განხორციელების მიზნით, ამხანაგობამ უნდა უზრუნველყოს შენობა-ნაგებობის უფლებამოსილი ორგანოს მიერ შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის შესაბამისად მშენებლობის დასრულება, „ადგილობრივი მოსაკრებლის შესახებ" საქართველოს კანონის 17 მუხლის შესაბამისად, უფლებამოსილ ორგანოში განცხადების წარდგენა შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღებაზე და ექსპლუატაციაში მიღებისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოსაკრებლის დაფარვა;

ბ) შეთანხმების პირობების დარღვევის შემთხვევაში, შეთანხმება გაუქმდება და შპს „მარგიანი 2007"-ს დაეკისრება ვალდებულება, შეთანხმების გაუქმებიდან 1 თვის ვადაში გადაიხადოს ქალაქ თბილისის მერის 2010 წლის 10 სექტემბრის №3841 განკარგულებით გაცემული სპეციალური (ზონალური) შეთანხმების და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად გადასახდელი განაშენიანების ინტენსივობის კ-2 კოეფიციენტის მოსაკრებელი.

3. შეთანხმებაზე, ქალაქ თბილისის მთავრობის სახელით, ხელმოწერა დაევალოს ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ.თბილისის არქიტექტურის სამსახურის უფროსს.

4. კონტროლი დადგენილების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მერის მოადგილეს დავით ნინიძეს.

5. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

ქ. თბილისის მერის მოადგილე ირაკლი აბესაძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ქალაქ თბილისის მერიის
ზედამხედველობის საქალაქო
სამსახური

ინდექსი 0160, ქ.თბილისი, ქ. 7 ტელ.: 378501, 378398

№ ს 3 3 4 - 1 1 2 0 05 2011 წ.

დადგენილება №000795
საჩქარო საჯარიმო დავალების
საქმეზე

20.05.2011წ. ქ.თბილისი, შარტავას 7

მე, სამსახურის უფროსის ხელად კონსტანტინე გაბუნიამ 2011 წლის 11 მარტის №000795 მითითება და 2011 წლის 29 აპრილის №000795 შემოწმების აქტი შევადგინე იმის, რომ "მარტყოფი 2007"-ის (მისამართი: ქ. თბილისი, ქ. №2-ის მიმდებარედ "სამშენებლო ნაგვისთის განთავსების შესახებ" საქართველოს კანონის 23-ე მუხლის "ა" პუნქტის თანახმად ნებართვის მოპოვების გარეშე ნაგავსაყრელის მოწყობა-ექსპლუატაციის გამო.

დადგინდა:

ქ. თბილისში, მარტყოფის ქ. №2-ის მიმდებარედ, "მარტყოფი 2007"-ის მიერ განხორციელდა მშენებლობისთვის საჭირო ნედლეულის ნაგავსაყრელის მოწყობა ქ. თბილისის მერიის სსიპ ქალაქის არქიტექტურის სამსახურის მიერ №01/2381 26.10.2010წ. გაცემული შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით, კერძოდ, 3.30 ჰექტარზე 2-ე და 3-ე ტერასებზე ნაგავსაყრელის ფარგლებში ნაწილობრივ დაახლოებით 1600 სამშენებლო ნედლეული "ა-ბ" ღერძის "2-5" მონაკვეთში დაშენებულია კაპიტალური სვეტი, ხოლო "3-4" მონაკვეთში ერთი სვეტი დაშენებულია 2000 ნაწილობრივ "გ-დ" მონაკვეთში დაშენებულია [illegible] "ხ-ო" მონაკვეთში დაშენებულია ლიანდის შახტის ღიობი ამოშენებულია "გ-დ" მონაკვეთში ავტომანქანის ფანჯრის ზომის ღიობი შედგენილია [illegible] თითოეული დაახლოებით 1002-ით.

სამსახურის სპეციალისტის მიერ "ნაგავსაყრელის განთავსების შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანო 2011 წლის 11 მარტის შედგენილი იქნა დადგენილება №000795 (მისამართი: ქ. თბილისი, ქ. №2-ის მიმდებარედ) სახით 10 (ათი) დღიანი ვადა ნებაყოფლობით აღმოსაფხვრელად მიეცა.

დავადგინე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

[illegible] ბანკის [illegible] ანგარიშზე • მიმღების დასახელება: [illegible] მიმღების ბანკი: [illegible] ბანკის კოდი: **TRESGE22**, საბუღალტრო შემოსავლის სახაზინო კოდი: **300773263**, გადახდის დანიშნულება: [illegible]

2. [illegible] [illegible] [illegible]





PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

განმარტებითი ბარათი

ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, მარგიანის ქუჩა №2-4-ში მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის ასაშენებლად სპეციალური (ზონალური) შეთანხმების მოსაკრებლის ანგარიში.

"ქ.თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების" შესაბამისად ტერიტორია წარმოადგენს განშენიანების საშუალო ინტენსივობის საზოგადოებრივ-საქმიან (შერეულ) ზონას (შზ) დადგენილი კოეფიციენტებით K_1=0.41 K_2=1.8

"ქ.თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების" შესამისად ქ.თბილისის მერის განკარგულებით განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი K_2^1 განისაზღვრა 2.4-ით.

ზონალური შეთანხმების შესაბამისად გადასახდელი თანხა იანგარიშება შემდეგი ფორმულის მიხედვით:

$$X = \frac{L}{K2}\left(K2' - (K2 + K2_{20\%})\right) \times S$$

სადაც **X** არის მოსაკრებლის ოდენობა; **L** არის 1 კვ.მ. მიწის ნაკვეთის ნორმატიული ფასი; **K2** არის მიწის ნაკვეთისათვის დადგენილი განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი; **K2'** არის მიწის ნაკვეთისათვის სპეციალური (ზონალური) შეთანხმების საფუძველზე მინიჭებული განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი; **S** არის სამშენებლო მიწის ნაკვეთის ფართი. $K2_{20\%}$ არის დადგენილი განაშენიანების ინტესივობის კოეფიციენტის კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახდელი მოსაკრებლის შეღავათი.

აქედან გამომდინარე:

X=(150:1.8)X(2.4-(1.8+0.36))X1278=25558 ლარი 98 თეთრი

ი.ბ.ა ამხანაგობა "მარგიანი-2007"-ის
თავჯდომარე: მ.ბებიაშვილი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

განმარტებითი ბარათი

ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, მარგიანის ქუჩა №2-4-ში მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის ასაშენებლად სპეციალური (ზონალური) შეთანხმების მოსაკრებლის ანგარიში.

"ქ.თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების" შესაბამისად ტერიტორია წარმოადგენს განშენიანების საშუალო ინტენსივობის საზოგადოებრივ-საქმიან (შერეულ) ზონას (შზ) დადგენილი კოეფიციენტებით K_1=0.41 K_2=1.8

"ქ.თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების" შესამისად ქ.თბილისის მერის განკარგულებით განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი K_2^1 განისაზღვრა 3.15-ით.

ზონალური შეთანხმების შესაბამისად გადასახდელი თანხა იანგარიშება შემდეგი ფორმულის მიხედვით:

$$X = \frac{L}{K2}\left(K2' - (K2 + K2_{20\%})\right) \times S$$

სადაც X არის მოსაკრებლის ოდენობა; L არის 1 კვ.მ. მიწის ნაკვეთის ნორმატიული ფასი; K2 არის მიწის ნაკვეთისათვის დადგენილი განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი; K2' არის მიწის ნაკვეთისათვის სპეციალური (ზონალური) შეთანხმების საფუძველზე მინიჭებული განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი; S არის სამშენებლო მიწის ნაკვეთის ფართი. $K2_{20\%}$ არის დადგენილი განაშენიანების ინტესიობის კოეფიციენტის კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახდელი მოსაკრებლის შეღავათი.

აქედან გამომდინარე:

X=(96:1.8)X(3.2-2.4)X1278=54524 ლარი 59 თეთრი

ი.ბ.ა ამხანაგობა "მარგიანი-2007"-ის
თავჯდომარე: მ.ბებიაშვილი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

გრაფიკი

ნოემბერი 2013 წელი	50 ლარი
დეკემბერი 2013 წელი	100 ლარი
იანვარი 2014 წელი	1 650 ლარი
თებერვალი 2014 წელი	2 000 ლარი
მარტი 2014 წელი	20 000 ლარი
აპრილი 2014 წელი	56 283 ლარი 57 თეთრი

ი.ბ.ა ამხანაგობა "მარგიანი-2007"-ის
თავჯდომარე: მ.ბებიაშვილი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com